პროექტის რეზიუმე (დასრულებული პროექტი)
APPEAR Project Prep136 (ASSEC)

OeAD-GmbH
ICM – საერთაშორისო თანამშრომლობისა და მობილობის ცენტრი
Appear – ავსტრიის ურთიერთთანამშრომლობის პროგრამა უმაღლესი განათლებისა და კვლევის განვითარების სფეროში

პროექტის სახელწოდება: აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობის გაზრდისთვის გარემოს დაცვის სწავლებაში

პროექტის მიზანს წარმოადგენს ერთობლივი ინოვაციური და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის საკითხებს საინჟინრო სწავლებაში. კერძოდ, თანამშრომლობა იქნება ფოკუსირებული შემდეგ საქმიანობაზე:

- უნივერსიტეტის მართვისა და სწავლების შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამისი სასწავლო მასალისა და მეთოდების უზრუნველყოფის გზით, რათა შემუშავდეს ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამა „სიცოცხლის მეცნიერებათა“ სფეროში გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებით;
- პერსონალის კომპეტენტურობის გაძლიერება, განსაკუთრებით ახალგაზრდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მონაწილეობით; მათთვის სწავლებისა და შეფასების მეთოდების გაცნობა სასწავლო კურსების (ტრენინგის) და სემინარების ჩატარება;
- აკადემიური პერსონალის გენდერული ბალანსის მხარდაჭერა;
- ეფექტური და პრაქტიკაზე ორიენტირებული თანამშრომლობის შექმნა სწავლების, კვლევისა და კონსულტირების სფეროში.

მაკოორდიბნებნელი ინსტიტუტი, მისამართი: *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), კოსტავას ქ. #4747, ადმინისტრაციული შენობა, 0175 ქ. თბილისი, საქართველო*
პასუხისმგებელი კოორდინატორი: ირმა ინაშვილი, პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (სტუ, საქართველო).
პროექტის ძირითადი მონაწილეები სტუ-ს მხრიდან: ირაკლი ყრუაშვილი პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (სტუ, საქართველო) და კონსტანტინე ბზიავა ასოც. პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (სტუ, საქართველო).

პარტნიორი ინსტიტუტი, მისამართი: ვენის ბუნებრივი რესურსებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (BOKU). Muthgasse 18, 1190 ქ. ვენა, ავსტრია.
პარტნიორი ინსტიტუტიდან კოორდინატორი: მარგარიტა ჰიმელბაუერი